# საგარეჯოს მაცნე



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №20(202) 2019 წ. 16-31 ოქტომბერი ფასი 1 ლარი

### ჩვენს მუნიციპალიტეტში

## შეხვედრები მოსახლეობასთან

# სამომავლო საკეთებელი

**საერთოდ**, როგორც ცნობილია, მომავალი, 2020 წლის დახვეწილი სამოქმედო გეგმის შემუშავება ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ სვლას წარმოადგენს იმ პრობლემების მოგვარების საქმეში, რომელიც ახალი წლის პირველი დღეებიდანვე უნდა დაიწყოს. კონკრეტულად, თუ რა პრობლემები, რა გამოწვევებია მომავალი წლიდან, მთელი სიმწვავით სწორედ ახლა, შემოდგომის დღის წესრიგად დადგა ჩვენი მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წინაშე.



„ერთად ვაკეთოთ საკეთებელი!“ – სწორედ ასეთი მოწოდებით მოვიდა ადგილობრივი თვითმმართველობის დღევანდელი ხელმძღვანელობა მუნიციპალიტეტის მართვის სათავეში. ოქტომბრის დასაწყისში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის და კახეთის მხარის ხელმძღვანელი პირები, საქართველოს პარლამენტის წევრებთან ერთად ეტაპობრივად ხვდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, ადგილზე ეცნობა მათ სოციალ-ეკონომიკურ და სოფლის, ქალაქის ინფრასტრუქტურის მდგომარეობას, ისმენს მათგან პრობლემების წარმომშობ მიზეზებს, მათთან ერთად ეძიებს პრობლემების დაძლევის გზებს, სახავს მომავალი წლის პრიორიტეტულ საკითხებს, ახდენს შეჯერებას და სწორედ ამის შემდეგ დაისახება მომავალში საკეთებელი. ყოველი ასეთი შეხვედრა არწმუნებს მუნიციპალიტეტის თითოეულ მოქალაქეს, რომ შეუძლებელი არაფერია, თუ ერთად, გონივრულად, მთელი გულით მიუდგებიან საქმის მოგვარებას. შეხვედრებზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები მოსახლეობას აცნობენ იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რომლებიც მალე, უმოკლეს დროში განხორციელდება მათ საცხოვრებელ არეალში, ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი* გიორგი ერბოწონაშვილი, *საკრებულოს თავმჯდომარე* ოთარ ჩალათაშვილი, *მისი მოადგილე* ლელა მარიდაშვილი, *კახეთში სახელმწიფო რწმუნებულთან* ირაკლი ქადაგიშვილთან, *მის მოადგილე* – ირაკლი შიოშვილთან, *საქართველოს პარლამენტის წევრებთან* რომან მუჩიაშვილთან და მიხეილ**





სოფელი შიბლიანი

**ყაველაშვილთან** ერთად უკვე შეხვდა მუნიციპალიტეტის მთელი რიგი სოფლებისა და ქალაქ საგარეჯოს მოსახლეობას. მათგან მოისმინეს არსებული პრობლემები, ადგილზე გაეცნენ მას და თითოეულ საკითხზე საერთო გადაწყვეტილებაც იქნა მიღებული.

ასეთ ღია შეხვედრებზე მოსახლეობიდან პრობლემად კვლავ სასმელი წყალი, სოფლის, ქალაქის შიდა გზების მოწესრიგება, სანიაღვრე არხების მოწესრიგება, გაზიფიცირება, ინტერნეტიზაცია დასახელდა. წარმოდგენილი პრობლემები მუნიციპალიტეტის მერმა პირადად ჩაინიშნა, პერსონალურად გაესაუბრა ადგილობრივებს, სოფლებში ავტორიტეტული პირებიდან მოისმინა სათანადო რჩევები, თავად კი მათ მომავალი წლის საკეთებელიც გააცნო და დაჰპირდათ, რომ 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სამუშაო გეგმაც სწორედ მოსახლეობიდან დაყენებული პრობლემების მოსაგვარებლად შედგება.



სოფელი მზისგული

სოფელი თოხლიაური



ქალაქი საგარეჯო



სოფელი გიორგიწმინდა

# მუნიციპალური გვერდი

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა

25 ოქტომბერი, 2019წ



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას ამავე ***საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე* ლელა მარიდაშვილი** უძღვებოდა. დღის წესრიგის გაცნობისა და კენჭისყრის შემდეგ პირველ საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება – სოფლის განვითარებისათვის“ დაფუძნების და ფრაქციის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ და მეორე – „იმავე ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ“ მოხსენება გააკეთა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ უსტიაშვილმა. საკითხების მოსმენის შემდეგ ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნული ფრაქციის თავმჯდომარის პოზიციაზე დეპუტატ ვეფხია ჩერქეზიშვილის, თავმჯდომარის მოადგილის პოზიციაზე ზურაბ ჭიკაძის არჩევას.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №62 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თინათინ ძაბილაშვილმა. როგორც მან აღნიშნა: – პროექტის მიღებასთან დაკავშირებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები სახ.ბიუჯეტით შემცირდება 46,433 ათასი ლარით, გადასახდელები სახ.ბიუჯეტით ასევე შემცირდება 46,433 ათასი ლარით.

საქართველოს მთავრობის 2019წლის 4 ოქტომბრის №2125 განკარგულებით შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულებაში და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხები შემცირდა 39,855 ათასი ლარით.

საქართველოს მთავრობის 2019წლის 4 ოქტომბრის №2126 განკარგულებით შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №554 განკარგულებაში და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხები შემცირდა 6578 ლარით.

შესაბამისად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულებით მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხები შემცირდა ტენდერში ვაჭრობის შედეგად დაკლებული თანხით:

1) ქ.საგარეჯოში მარჯანიშვილის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები - 6872 ლარით;

2) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმში შიდა საავტომობილო გზის მოასფალტება და სკოლისკენ მიმავალ გზაზე ქვის ფენილის მოწყობის სამუშაოები - 32484 ლარით;

3) სოფელ უდაბნოში არსებული საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია -499 ლარით.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №554 განკარგულებით მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხები შემცირდა - ქ.საგარეჯოში კახეთის გზატკეცილზე სსიპ



გაგრძელება მე-3 გვერდზე

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირი

15 ოქტომბერი, 2019 წელი



**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერიის 15 ოქტომბრის ტრადიციულ თათბირს ***მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები* ალექსი გილაშვილი და შოთა კაკაბაძე** უძღვებოდნენ. თათბირის დაწყებამდე მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში მერის წარმომადგენლებთან საქმიანი კოორდინაციის განყოფილების უფროსმა ვანო ფანოზიშვილმა გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ 18 ოქტომბრიდან წყდება ყურძნის ჩაბარებაზე ცნობების გაცემა და მერის წარმომადგენლებს მოუწოდა ამ რიცხვის შემდეგ აღარ გასცენ ცნობები, ხოლო დარჩენილი და ბათილი ცნობები ჩააბარონ უკან.

თათბირზე ალექსი გილაშვილი დაინტერესდა და მოისმინა მუნიციპალიტეტის სოფლებში მიმდინარე სასმელი წყლის ქსელების მშენებლობა-რეაბილიტაციისა და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობის საკითხი.

თათბირზე საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა ნიკო ჯავახიშვილმა გააკეთა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ უახლოეს ორ დღეში მუნიციპალიტეტს ეწვევიან სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, რომლებიც გარეკახელ ფერმერებს ესაუბრებიან ხორბლის უხვი მოსავლის მიღების თანამედროვე მეთოდებზე და მერის წარმომადგენლებს შესთავაზა დასწრებოდნენ აღნიშნულ შეხვედებს.

თათბირზე პატარძეულსა და მუნიციპალიტეტის ქართული აზერბაიჯანელებით დასახლებული ქართული სოფლების მერის წარმომადგენლებმა გააკეთეს განცხადება პირუტყვის გადასარეკი ტრასების მოუწესრიგებლობის შესახებ, რის გამოც მესაქონლეებს საქონლის გადარეკვის დროს პრობლემები ექმნებათ აღნიშნული სოფლების მიმდებარე ტერიტორიების მფლობელებთან. სოფლებში კი, ირანელმა ინვესტორმა მთლიანად მიისაკუთრა ადრე არსებული პირუტყვის გადასარეკი „ტრასა“ და იქ მოსახლეობის საქონლისა და ცხვრის ფარებს აღარ ატარებინებს.

თათბირზე მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციისა და შესყიდვების სამსახურის მერის წარმომადგენლებთან საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების უფროსმა ვანიკო (ივანე) ფანოზიშვილმა გააკეთა განცხადება, რომ საჭიროა დაიწყოს სასმელი წყლის სათავე ნაგებობების წმენდისა და დეზინფექცირების სამუშაოები, რაც ეტაპობრივად განხორციელდება.

### 29 ოქტომბერი, 2019 წელი

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მერიის 29 ოქტომბრის თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები* ლექსო გილაშვილი და შოთა კაკაბაძე** უძღვებოდნენ.

თათბირზე ვრცლად იყო საუბარი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის თითოეული სოფლის მოსახლეობისათვის სასმელი წყლის პრობლემის მოხსნის შესახებ. კონკრეტულად, საუბარი შეეხო მდინარე იორის წყლის სასმელ წყლად გამოყენებას, დაისახა კონკრეტული გეგმა აღნიშნული საკითხის რეალურობად ქცევისათვის.



# მუნიციპალური გვერდი

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა

**25 ოქტომბერი, 2019წ**

**დასასრული**

„საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“-ს შენობის მშენებლობის სამუშაოები - 6578 ლარით.

ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით: საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის არა-ფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან 2018 წლის №115 ხელშეკრულებიდან მიღებული ეკონომია (ქ. საგარეჯოში კახეთის, დოდაშვილისა და არაყიშვილის ქუჩების ასფალტობეტონის გზის საფარისა და სანიაღვრე რ/კ ბეტონის კიუვეტების მოწყობის სამუშაოებისა და ქ. საგარეჯოში მერაბ კოსტავას ქუჩაზე მრავალბინიანი საერთო საცხოვრებლების ეზოებისა და სოფელ პატარძეულში გოგლა ლეონიძის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოები) 36231 ლარი უნდა გადანაწილდეს სხვა პროგრამებზე აუცილებელი ღონისძიებების განსახორციელებლად, კერძოდ, 30000 ლარი - მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამაში უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა დასახმარებლად, 6231 ლარი - განათლების პროგრამაში ა(ა)იპ - საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების „სუბსიდიაზე ს.კოჭბაანის საბავშვო ბაღის შენობის გათბობისთვის შეშის შესაძენად (1560 ლარი) და თანამშრომელთა ხელფასების დასაფინანანსებლად (4671 ლარი).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის საჭირო დოკუმენტების აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, ამ დოკუმენტების ფორმისა და ნიმუშების დამტკიცბის შესახებ“ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 მაისის №7 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ საკითხთა სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მადლენა სამუნაშვილმა.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე „სსიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ თოხლიაურის საჯარო სკოლისათვის ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელს მინიჭების შესახებ“ მოხსენება გააკეთა მადლენა სამუნაშვილმა. მისი განმარტებით სოფელ თოხლიაურის მოსახლეობამ მიმართა სსიპ სოფელ თოხლიაურის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სკოლისათვის ახალი სახელის მინიჭების საკითხის განხილვის მიზნით. 2019 წლის 26 სექტემბერს სსიპ სოფელ თოხლიაურის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭომ სხდომაზე იმსჯელა წარმოდგენილი საკითხის თაობაზე და თანხმობა განაცხადა სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ სოფელ თოხლიაურის საჯარო სკოლისათვის ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელის მინიჭების თაობაზე.

წარმოდგენილი ინიციატივით ირკვევა, რომ თოხლიაურის მკვიდრი, ვარლამ ჩერქეზიშვილი (1846-1925წწ) გმირულად იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის რუსეთის წინააღმდეგ. რუსეთის იმპერატორისაგან დევნილი არასოდეს ივიწყებდა თავის სამშობლოს, დიდად მფარველობდა უცხოეთში მოხვედრილ ქართველებს, ევროპულ ჟურნალ-გაზეთებში განუწყვეტლად წერდა საქართველოს, მისი პოლიტიკური ყოფის შესახებ. 1894 წლიდან დიდმა ილიამ თავის სახელგანთქმულ „ივერიაში“ დაიწყო მისი წერილების და კორესპონდეციების ბეჭდვა „ვაზიანის“ ფსევდონიმით. მან გააცნო ილიას და ქართველ საზოგადოებას მარჯორი უორდროპი. 1904 წელს მონაწილეობდა საქართველოს ეროვნულ პოლიტიკური პარტიების და ფრაქციების გამაერთიანებელ ჟენევის კონფერენციის მუშაობაში, რომელმაც მიზნად დაისახა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლა. 1903 წელს მისი დახმარებით, არჩილ ჯორჯაძემ და მისმა თანამოაზროვნეებმა მოახერხეს პარიზული გამოცემის პირველი ქართული ეროვნულ-რევოლუციური გაზეთი „საქართველო“ და მისი ფრანგული დამატება „La George“. 1907 წელს მისსივე დიდი ძალისხმევით წარუდგინა ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალს რამდენიმე ათასი კაცის მიერ ხელმოწერილი „საქართველოს ხალხის კანონიერი უფლება – აღედგინა ეროვნული სახელმწიფოებრიობა“. 1910 წელს მონაწილეობდა ლონდონში გამართულ მსოფლიო ჩაგრულ-დაპყრობილ ხალხთა საერთაშორისო კონფერენციაზე და იცავდა საქართველოს უფლებებს. უკვე 72 წლის მოხუცი 1918 წელს ჩამოვიდა თავისუფალ საქართველოში, 40 წელზე მეტი ხნის განდევნილობიდან. 1921 წლის თებერვალში, როცა ბოლშევიკური რუსეთის საოკუპაციო ჯარი დამოუკიდებელ საქართველოს უტევდა, ის თოფით ხელში დაადგა კოჯრის გზას, დასაკარგად განწირული თავისუფლების დასაცავად. 1921 წელს საბოლოოდ გაიხიზნა. 1925 წ გარდაიცვალა და დაკრძალეს ლონდონში.

„საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად „სკოლას შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ „სამშობლოს დაცვის, ქართული სახელმწიფოს მშენებლობის ან საზოგადოების კონსოლიდაციის საქმეში თვალსაჩინო წვლილის მქონე ეროვნული ან საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული, გარდაცვლილი საერო ან სასულიერო პირის სახელი“.

სხდომაზე გამოტანილ აღნიშნულ საკითხს დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

# აღინიშნა ვეტერანთა დღე

**ვეტერანის** დღესთან დაკავშირებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ერბოწონაშვილმა საკრებულოს თავჯდომარის მოადგილე-ლელა მარიდაშვილთან და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, პატივი მიაგო საქრთველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნას და გმირთა მემორიალები თაიგულებით შეამკო. სამშობლოს სამსახურისთვის თითოეულ ვეტერანს კი მადლობა გადაუხადა.

საქართველოში ვეტერანის დღე 2014 წლიდან აღინიშნება. 1995 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შესახებ“, რაც შემდგომში ვეტერანის დღის დაწესების საფუძველი გახდა.






# სოფლის მეურნეობა

**30 ოქტომბრის მონაცემებით:**
**მუნიციპალიტეტში მოხნულია 78000 ჰა მიწა;**
**დათესიალია 5500 ჰა;**
**აქედან: ხორბალი — 42 000 ჰა;**
**ქერი – 1200 ჰა-ზე**
**სხვადასხვა – 100 ჰა-ზე.**

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტში წარმოებულია 36000 ტონაზე მეტი სხვადასხვა ჯიშის ყურძენი





# შეხვედრა დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში

## დასავლური ინტეგრაციის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებისა და ჩართულობის მიზნით




**18 ოქტომბერს** საგარეჯოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრმა დასავლური ინტეგრაციის შესახებ ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდის მიზნით მორიგ ღონისძიებას უმასპინძლა. საქართველოს გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრის პროექტების ექსპერტი წარმოშობით საგარეჯოელი **ნატო ბაჩიაშვილი** მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებს, პედაგოგებსა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებს ესაუბრა ნატოსა და ევროკავშირში გაწევრების, დასავლურ ინტეგრირებაში საქართველოს საგარეო კურსისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე ამ კუთხით ქვეყნის პირველი პირების მიერ გადადგმული ნაბიჯების შესახებ.

როგორც მან აღნიშნა, ამერიკისა და ნატოს ალიანსისაკენ, რომელშიც მსოფლიოს 30 ქვეყანაა გაერთიანებული, პირველი ნაბიჯები გადადგა და გზების ძიება ედუარდ შევარდნაძემ დაიწყო, რომელსაც კვლავ სურდა მეზობელ რუსეთის იმპერიასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნება. თუმცა, მიუხედავად სხვადასხვა მოლაპარაკებებისა და ხელშეკრულებისა, რაშიცეუთოც იყო ჩართული, რუსეთი არ ასრულებს არც



ერთ მათგანს, პირველ რიგში კი ჟენევის ხელშეკრულებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და კვლავ აგრძელებს ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ აგრესიას და მცოცავ ოკუპაციას თბილისისკენ.

ღონისძიებაზე ექსპერტმა ასევე ისაუბრა ნატოს ალიანსში საქართველოს გაწევრების სიკეთეებსა (რასაც, მისი განცხადებით, გამოკითხული საქართველოს მოქალაქეთა 78% უჭერს მხარს) და ქვეყნის სუვერენიტეტის გამოცხადებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, პასუხი გასცა ამ საკითხების ირგვლივ დასმულ კითხვებს, დაინტერესდა, რა აზრის არიან საგარეჯოელები ამ საკითხების შესახებ. შეხვედრაზე მონაწილეებს გადაეცათ საქართველოს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის მიერ მომზადებული ბუკლეტი „13 მითი ნატოს შესახებ“ და „10 მითი ევროკავშირის შესახებ“, რომლებიც მომზადებულია საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების ცენტრის დირექტორის გიორგი გოგუაძის თანაავტორობითა და აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერით.

ღონისძიებას ესწრებოდა ***ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის კახეთის ბიუროს ხელმძღვანელი*** **ბექა ეძგეულიძე.**

*გივი დაბახიშვილი*

# პრობლემების მოსაგვარებლად ინფრასტრუქტურა–2019

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის სოფელ პატარძეულში, ე.წ უსტიაანთ უბანში, სასმელი წყლის ორკილომეტრიანი მაგისტრალის მოწყობის სამუშაოები ჩატარდა..






**სოფელ** პატარა ჩაილურში, შიდა ცენტრალურ საავტომობილო გზაზე სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები ჩატარდა.





*ქეთი გრატიაშვილი*

# განათლება

## საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლის საშუალო სკოლის სახელის მინიჭებიდან 55 წლისთავი შესრულდა

ფიქრები

## ჩემი სკოლა, ანუ როგორ გავიზარდე



**2009 წლის** 14 სექტემბერი. დილით დედამ გამაღვიძა და ადგომისაკენ მომიწოდა. თვალების ფშვნეტით გავედი მისაღებ ოთახში და გამზადებულ ტანსაცმელზე შევაჩერე მზერა. თავს ენერგიულად ვგრძნობდი,თუმცა რაღაც არ მასვენებდა. სასწრაფოდ ჩავიცვი და სამზარეულოში გადავინაცვლე. დედა ფუსფუსებდა და ჩემთვის და ჩემი უფროსი ძმისთვის საუზმეს ამზადებდა. ეს სკოლის პირველი დღე იყო. ჩემი ძმა უკვე მეშვიდეკლასელი გახლდათ და მისგან ვიცოდი, რაც მელოდა სკოლაში. ხშირად უხასიათო და მკაცრი მასწავლებლები,ბევრი სამეცადინო. ეს მაფრთხობდა, რადგან ყოველთვის ეზოში თამაშისა და თავშექცევის მოყვარული ბავშვი ვიყავი. თუმცა მაინც აღტაცებული და აღფრთოვანებული ველოდი სკოლაში წასვლას. მალე ვისაუზმე და ახლა დედას ვუცდიდი. წუთები საათებად მეჩვენებოდა. ჩემს წარმოსახვაში სხვადასხვა სცენას ვათამაშებდი: ვინ იქნებოდა პირველი მასწავლებელი, როგორ მიმიღებდა, დამხვდებოდნენ თუ არა ბაღის ჯგუფელები. ფიქრებმა წამიღეს და ამასობაში სანატრელი დროს დადგა. ვარდისფერი ზურგჩანთა მხრებზე მოვიკიდე და დედასთან ერთად სკოლისაკენ მიმავალ გზას გავუდექი. მეორე საჯარო სკოლაში მანამდეც ბევრჯერ ვიყავი ნამყოფი ჩემი ძმის კლასის ღონისძიებებზე ან მშობელთა კრებაზე, თუმცა ამჯერად უკვე მოსწავლის ამპლუაში მყოფმა გადავაბიჯე ზღურბლს. უამრავი ბავშვი ირეოდა. მე კი გაფაციცებით ვეძებდი ნაცნობ სახეებს. დამფრთხალს და შეშინებულს გული მაინც სიხარულით მევსებოდა. ვგრძნობდი,რომ ახალი ეტაპი იწყებოდა ჩემს ცხოვრებაში. დედას ხელი მაგრად ჩავჭიდე და საკლასო ოთახში შევედი. დღემდე არ მავიწყდება ის შეგრძნება, რაც მაშინ დამეუფლა. საღებავისა და ცარცის სუნი ერთმანეთში იყო გაჟღენთილი. კარი ჭრიალებდა. გაფართოებული თვალებით ვუყურებდი კედლებს. ვხედავდი მწერლებისა და პოეტების სურათებს,რომელთა არსებობის შესახებ არაფერი გამეგებოდა. პირველი შთაბეჭდილებების ქვეშ მყოფს მასწავლებელი სრულებით გადამავიწყდა. ჩემი ყურადღება მისმა ხმამ მიიპყრო თავდაპირველად:



– გამარჯობა ბავშვებო. მე თქვენი პირველი მასწავლებელი გიული გრძელიშვილი ვარ.

თბილი ღიმილი დასთამაშებდა სახეზე და ყველას მზრუნველად გვიცქერდა. მეც იმ წამს შემიყვარდა. შუა ხნის ქალბატონი იყო. რომ შეხედავდი, მის პედაგოგობაში ეჭვს ვერ შეიტანდი.

ჩემი ჯგუფელი დავინახე და გვერდით მივუჯექი. ლურჯად გადაღებილ მერხზე წარწერებს დავაშტერდი. კითხვა უკვე ვიცოდი და კარგად გავარჩიე სახელები. ახლა ამ ბავშვებზე განუწყვეტელი ფიქრი დავიწყე. ნეტავ ვინ იყვნენ? ალბათ ჩემამდე ისხდნენ იმ მერხთან. უბრალო ხის ნივთიც კი რაოდენ ბევრ მოგონებას ინახავს. თითქოს თავში მათ სახეებსაც ვხატავდი, თუ როგორ იმყოფებოდნენ ისინი ჩემს ადგილას. ამასობაში მასწავლებელმა საუბარი დაასრულა და ეზოსაკენ გაგვიძღვა. ღონისძიებაში უფროსკლასელები იღებდნენ მონაწილეობას. ულამაზესი სანახავები იყვნენ. გაოცებული ვუყურებდი,როგორ მღეროდნენ,ცეკვავდნენ და ვნატრობდი,რომ მეც მათნაირი ვყოფილიყავი.

ემოციებით სავსე დავბრუნდი სახლში,თითქოს სხვა ადამიანი ვიყავი, უკვე გაზრდილი, უკვე მეორე საჯარო სკოლის პირველკლასელი. მას შემდეგ თერთმეტი წელი გავიდა. წლების წინ მეთერთმეტეკლასელობა მიუწვდომლად მეჩვენებოდა, თუმცა ეხლა არაფერს ვგრძნობ, თითქოს არაფერი შეცვლილა. მაგრამ განაღა მართლა ასეა? დრომ გაირბინა. გავიზარდე. სკოლაში წასვლაც ისე აღარ მიხარია,როგორც მაშინ. ეს შენობა ის ადგილია,სადაც მეგობრები შევიძინე,შევიყვარე მათემატიკა და გამოვიმუშავე პასიუხისმგებლობის უნარი.

ახლა უკვე მე ვეგებები ყოველ წელს პირველკლასელებს,ღონისძიებებს და თავად ვამზადებ,სკოლის სახელით ბევრ პროექტში,ოლიმპიადასა თუ პროგრამაში ვღებულობ მონაწილეობას.

ასეთია ცხოვრება. თაობები ერთმანეთს ცვლის. ალბათ წლების შემდეგ სხვაც წაიკითხავს ჩემს მერხზე დაწერილ სახელს,ისიც დაიწყებს ჩემზე ფიქრს. თუკი სულ მცირე ერთი ბავშვისათვის გავხდები მისაბაძი.

მტირალა ბავშვიდან დამოუკიდებელ მოზარდად ვიქეცი.

ლიზი ასთაქიშვილი,

***საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე***

## მედალოსანი მოსწავლეობიდან სკოლის წარმატებულ მასწავლებლობამდე



***სულ ცოტა ხანში საგარეჯოს II საჯარო სკოლა თავისი არსებობის 55-ე წელს მიითვლის. ვინ მოთვლის ამ ხნის მანძილზე საგარეჯოელთა რამდენი თაობა და რამდენი ადამიანი დაფრთიანდა ამ კედლებში, აქ შეძენილი და ნასაგზლები ცოდნითა და განათლებით გავიდა ცხოვრების დიდ გზა-სავალზე და წარმატებით ემსახურება ქვეყნისა თუ ჩვენი მუნიციპალიტეტის კეთილდღეობის საქმეს. ერთ-ერთი მათგანია ამ სკოლის ყოფილი მოსწავლე, ქართული ენისა და ლიტერატურის ღვაწლმოსილი და ყველასათვის საყვარელი მასწავლებელი, თავისი პედაგოგიური საქმიანობით საკუთარი სახელივით გაცისკროვნებული ადამიანი ცისმარ ტოკეშაშვილი, ადამიანი, რომელსაც თავისი ცოდნით, განათლებითა და ერუდიციით თამამად შეუძლია ატაროს სახელი – მასწავლებელი.***

***დღეს ქ-ნი ცისმარი ჩვენი გაზეთის სტუმარია და გულწრფელად გვიზიარებს თავის იმ მოსაზრებებს, რაც მას დაუგროვდა ამ სკოლაში მოსწავლეობისა თუ პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში.***

***– როგორც გავარკვიეთ, თქვენ ამ სკოლის იმ თაობის მოსწავლეებს მიეკუთვნებით, ვინც პირველებმა დაამთავრეს ათწლედი. კერძოდ, რომელ წელს მოხდა ეს და ვინ იყო მაშინ ამ სკოლის ხელმძღვანელი?***

– საგარეჯოს II საშუალო სკოლა, როგორც მაშინ ეწოდებოდა მას, დავამთავრე 1966 წელს. ჩემი კლასი (მე-10ა) ამ სკოლის პირველი გამოშვება იყო და ყველაფერშიც პირველობდა. შესანიშნავი კლასი გვქონდა. სკოლის მაშინდელი დირექტორი ქ-ნი მარიამ მეიფარიანი, რომელიც ამავე დროს ქართულ ენასა და ლიტერატურას გვასწავლიდა, გამორჩეულად ძლიერი პიროვნება იყო: ერუდირებული, აკადემიური, მკაცრი, მაგრამ – სამართლიანი. ბევრს მუშაობდა და აღწევდა კიდეც, რითაც სკოლა დისციპლინითაც და აკადემიური მოსწრებითაც ერთ-ერთი ძლიერი სკოლა იყო რაიონში.

***– სხვა რომელმა მასწავლებელმა დაგამახსოვრათ თავი სკოლის მოსწავლეობის დროიდან?***

– მიჭირს რომელიმე გამოვარჩიო ჩემი მასწავლებლებიდან. ყველა ძალიან მიყვარდა, რადგან მათგანაც ვგრძნობდი დიდ სიყვარულს. და მაინც, გადაუხდელი ვალი მაქვს ჩემი მარო (მეიფარიანი) მასწავლებლის, რომელიც ყოველთვის უანგაროდ მედგა გვერდით, როგორც პედაგოგი და როგორც ჩემი დიდი გულშემატკივარი. დაუვიწყარია თინა მაჭავრიანი, თავისი საგნის შესანიშნავი მცოდნე, სიცოცხლით სავსე, ხალისიანი, ყველასათვის საყვარელი პიროვნება. თამარ ჯავახიშვილი, ჩვენი კლასის უსაყვარლესი დამრიგებელი, უგანათლებულესი და უნიჭიერესი, არაორდინარული ჯიმშერ გულისაშვილი და კიდევ ბევრი სხვა. მაპატიონ მათმა სულებმა, თუ ყველას ვერ ჩამოვთვლი.

***– ასეთი ძლიერი აღმზრდელ-პედაგოგების ხელში ალბათ გასაკვირი არ უნდა იყოს თქვენს მიერ მოპოვებული ვერცხლის მედალი, რაშიც, რა თქმა უნდა, ცოდნის დაუფლებისათვის თქვენი უდიდესი შრომაცაა ჩაქსოვილი. თქვენ როგორ პარალელებს გააკეთებდით სკოლის იმდროინდელ და ამჟამინდელ მედალოსნებს შორის?***

– მეამაყება, რომ ამ სკოლის პირველი მედალოსანი ვარ, რაც იმ დროისათვის ძალიან ძნელი მისაღწევი იყო. უდიუდესი შრომა და მრავალი უძილო ღამე იყო საჭირო, რომ ამ შედეგისათვის მიგეღწია. მაშინ მთელი რაიონიდან 2-3 მოსწავლეს თუ გაიყვანდნენ მედალზე, დღეს კი შეიძლება ერთი სკოლის ერთი კლასიდან ათმა ბავშვმა მიიღოს ეს ჯილდო, ყოველგვარი დიდი ძალისხმევის გარეშე. ასე, რომ როგორც რუსთაველი გვმოძღვრავდა: „ოდეს ტურფა გაიაფდეს, არღა ღირდეს არცა ჩირად"... ვფიქრობ, მაშინდელი სკოლა ბევრად უფრო აკადემიურ ცოდნას აძლევდა ბავშვს, ვიდრე დღევანდელი განახლებული, გამშვენიერებული, ყოველგვარი საჭირო რესურსით აღჭურვილი სკოლები. მაშინდელი სკოლიდან გამოსული ბავშვი უდიდეს კონკურენციას უძლებდა და ყოველგვარი რეპეტიტორების გარეშე ხდებოდა სტუდენტი. დღეს კი ყველა აბიტურიენტი სკოლის პარალელურად აუცილებლად რეპერტიტორთან დადის მოსამზადებლად, რადგან სხვანაირად უმაღლეს სასწავლებელში ვერ ჩაირიცხება. ისე, რომ იმდროინდელი „უსტატუსო" მასწავლებლები დღევანდელ სტატუსიან მასწავლებლებზე არანაკლებ ცოდნას აძლევდნენ მოსწავლეებს და თუ დღეს ბავშვს აუცილებმად სჭირდება რეპეტიტორი, ეს დღევანდელი მასწავლებლის ბრალი კი არაა, არამედ იმ სისტემისა, რომელიც მრავალჯერადი რეფორმებისა და ექსპერიმენტების მიუხედავად, მაინც შესაცვლელია.

***– როგორი გახსოვთ თქვენი მოსწავლეობისდროინდელი სკოლა?***

– ჩვენი სკოლა მაშინ ორსართულიანი ძველი შენობა იყო. ზამთარში ყველა კლასში შეშის ღუმელები იდგა და მტრისას, თუ ქარი ამოვარდებოდა. ჩვენ კი მაინც ვსწავლობდით და არასოდეს ვაცდენდით გაკვეთილებს.

***– ამ სკოლაში თქვენი მოსწავლეობის პერიოდი ასე ვთქვათ, „მოვილიეთ". როდის დაიწყო ამ სკოლაში თქვენი მოსვლის მეორე ეტაპი – პედაგოგიური მოღვაწეობა?***

– მეორე საშუალო სკოლაში 1971 წელს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მივედი პედაგოგად. ამავდროულად ვიყავი დირექტორის მოადგილე კლასგარეშე მუშაობის დარგში. ეს ჩემთვის,ახალბედა პედაგოგისთვის დიდი პასუხისმგებლობა და მეტად მძიმე ტვირთი იყო, ამიტომ,როცა მესამე საშუალო სკოლა გაიხსნა,ერთი წლის შემდეგ ამ სკოლაში გადავედი მასწავლებლად. 1987 წელს კი ისევ დავბრუნდი მეორე სკოლაში, სადაც დღემდე ვმუშაობ უფროსი მასწავლებლის სტატუსით და ამ ხნის მანძილზე ბევრი აღიარება და ჯილდო მიმიღია, მაგრამ ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდო ის სიყვარულია, რომელსაც ყოველთვის ვხედავ ჩემს ყოფილ მოსწავლეთა თვალებში მათთან შეხვედრისას.



***– ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ რეაბილიტირებული თქვენი სკოლა სადღეისოდ ერთ-ერთი კეთილმოწყობილი საგანმანათლებლო დაწესებულებაა მუნიციპალიტეტში. რას გვეტყოდით ამის სესახებ?***

– ჩვენს დღევანდელ სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი მოსწავლეთა ნორმალური სწავლა-განათლებისათვის. ტექნოლოგიური საშუალებების საუკუნემ მოსწავლესაც და მასწავლებელსაც წინ დიდი ასპარეზი გადაუშალა, მაგრამ, ვფიქრობ, სწავლის ინტერესიც დაუკარგა, რადგან ამ ცხოვრებაში პერსპექტივას ვერ ხედავს (ეს ზოგადად, თორემ ღმერთმა დაიფაროს ყველა ასე ფიქრობდეს!). დღეს ბავშვები ძალიან ცოტათი კმაყოფილდებიან, თვითშეფასება კი ძალიან მაღალი აქვთ. მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობაში მოსწავლეები მხოლოდ თავიანთ უფლებებს ითვალისწინებენ, მოვალეობები კი, სამწუხაროდ, ხშირად ავიწყდებათ, ხოლო მასწავლებელი, ამ შემთხვევაში, თითქოს განიარაღებულია.

***– როგორი იქნება თქვენი სურვილები სკოლის ამ იუბილისათვის?***

– საგარეჯოს №2 საჯარო სკოლა დიდი ტრადიციების სკოლაა. ამ „ბებერ კედლებში" მრავალი გამოჩენილი და ღირსეული ადამიანი აღზრდილა. ამ სკოლას ბევრმა დიდებულმა პედაგოგმა დაუვიწყარი და წარუშლელი კვალი დატოვა მათი აღზრდილების ხსოვნაში.

მთელი სულითა და გულით ვულოცავ სახელოვან იუბილეს ჩემს უსაყვარელ სკოლას, სადაც ავიდგი ფეხი, როგორც მოსწავლემ, ისე მასწავლებელმა და სადაც, ფაქტობრივად, მთავრდება კიდეც მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება. ვუსურვებ კიდევ მრავალი სასახელო ადამიანი აღეზარდოს. წარმატებები მის შესანიშნავ ახალგაზრდულ კოლექტივს, რომელიც ღირსეულად აგრძელებს ჩემი საყვარელი სკოლის ტრადიციებს.

***ესაუბრა*** გივი დაბახიშვილი

## მართლმადიდებლობა

### „ლოცვას დიდი ძალა აქვს“

# როგორ და როდის უნდა ვილოცოთ



**ფსალმუნში** ვკითხულობთ: „შვიდგზის დღესა შინა გაქებდი შენ“ (ფსალმუნი 118, 164); უფალი იესო ქრისტე ბრძანებს: „ითხოვეთ და მოგეცეს თქვენ; რამეთუ ყოველი, რომელი ეძიებდეს, ჰპოვოს და რომელი ირეკდეს, განეღოს“. მაგრამ ჩვეულებრივმა, მოკვდავმა ადამიანებმა არ ვიცით, როგორ, როდის ვილოცოთ. მხოლოდ განსაცდელის ჟამს ვიცით უფლის მოხმობა: „ღმერთო მიშველეო!“ თუმცა, გვავიწყდება, რომ უფალი ღმერთი ყოველთვის ჩვენთანაა და ყოველ წამს გვმფარველობს. მაშ, რა ლოცვა ვთქვათ განსაცდელის დროსაც? სწორედ ამ კითხვებს პასუხობს ***საგარეჯოს თავთა მოციქულთა პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძრის მღვდელი* ლაზარე (ბუჩუკური).**

– უპირველს ყოვლისა, ადამიანმა უნდა ილოცოს გულით, ზოგჯერ ასეთ ლოცვას ცრემლებიც მოსდევს. აი, სწორედ ასეთ გულმხურვალე, ჩვენგან აღვლენილ წრფელ ლოცვას ისმენს უფალი ჩვენი. ჩვენი წინაპრები დღეში შვიდჯერ ლოცულობდნენ. ისინი მისდევდნენ დავითის დარიგებას, ჩვენ ხომ ვკითხულობთ ფსალმუნში „შვიდგზის დღესა შინა გაქებდი შენ“. ლოცვა ყოველთვის შეიძლება და დიდი ძალა აქვს მას თუ წავიკითხავთ დილიდან: 6 საათზე, 9 საათზე, 12 საათზე, 3 საათზე, 6, 9 საათზე და ღამის 12 საათზე. აღნიშნულ საათებში მადლიანი ლოცვა-სავედრებელი აუცილებლად უნდა წაიკითხოს მართლმადიდებელმა ადამიანმა, იმ ლოცვებთან ერთად, რომელსაც ის კითხულობს მთელი დღის განმავლობაში. როცა მორწმუნე რწმენით კითხულობს ლოცვებს, საოცარ სიმშვიდესა და სითბოს გრძნობს ის ამ დროს.

როცა უფალმა ადამიანი თავის ხატად და მსგავსად შექმნა, უფალსა და ადამიანს შორის ერთგვარი კავშირი დამყარდა, მაგრამ როცა ადამიანმა დაკარგა სამოთხე, რა თქმა უნდა, კავშირი გაწყდა უფალსა და ადამიანს შორის – დავსახლდით აქ, დედამიწაზე, ცოდვის ქვეყანაში. იმისთვის, რომ უფალსა და ადამიანს შორის დამყარებულიყო სულიერი კავშირი, მოციქულებმა და მართლმადიდებლურმა ეკლესიამ დაადგინა ლოცვითი კანონები. მათგან აუცილებელია დილისა და საღამოს ლოცვები. ჩვენ ყოველი ძილის წინ უნდა გადავიწეროთ პირჯვარი და უფალს შევევედროთ – მშვიდობიანი და უშფოთველი ღამე მოგვმადლოს, ასევე, როცა გავიღვიძებთ, უნდა გამოვისახოთ პირჯვარი და მადლობა შევწიროთ უფალს, რომ ჩვენ და ჩვენი ოჯახის წევრებს მშვიდობიანი დილა გაგვითენა. მარტივად ვთქვათ, რომ: ლოცვა არის საუბარი უფალთან. უფალი მოწყალეა და ცდილობს, საკუთარ ქმნილებას ყოველთვის მოჰმადლოს წყალობა. ზოგჯერ უფალი განსაცდელს გვივლენს, ვერც კი ვხვდებით, რომ ეს ჩვენი უღირსი საქციელის გამო გვიგზავნის უფალი. მაგრამ, როგორც წმინდა მამები ამბობენ – უფალი ისეთ განსაცდელს არ მოგვივლენს, რასაც ვერ ვიტვირთავთ. განსაცდელს კი იმიტომ გვივლენს უფალი, რომ საკუთარი თავი არ დაგვავიწყდეს და გვახსოვდეს, რომ აქაური ცხოვრება დროებითია და ყველამ სულის ცხონებაზე უნდა ვიზრუნოთ. სანამ სულის ცხონებამდე მივალთ, საჭიროა სულის განწმენდა, განკურნება. ამაში კი დავით მეფსალმუნის „ფსალმუნნი“ გვეხმარება. ფსალმუნები ღმერთთან საუბარია, რომლებიც ანგელოზებთან გვაახლოვებენ და ეშმაკებს დევნიან, რომელიც გვეხმარება განსაცდელის ჟამს მობილიზებული ვიყოთ, უფრო მეტად, მეტი გულმოდგინებით ვილოცოთ.

***– მამაო, ადამიანი ხშირად განსაცდელის ჟამს ლოცვის გაძლიერების ნაცვლად, პირიქით, სასოწარკვეთილებაში ვარდება, რის გამოც განსაცდელი მძიმე, ძნელად გადასატანი ხდება. რა უნდა ქნას ასეთ დროს ადამიანმა?***

– რას ვიზამთ, ზოგიერთი ადამიანი განსაცდელს ვერ უძლებს, დეპრესიას, ჯვრის სიმძიმეს ღირსეულად ვერ იტვირთავს, პირიქით, ვარდება დეპრესიაში, უიმედობაში, სასოწარკვეთილებაში და ლოცვას წყვეტს. ეს ყოვლად დაუშვებელია! უფალი ხომ იმიტომ უშვებს ჩვენზე განსაცდელს, რომ რწმენაში გავძლიერდეთ? პირიქით, უნდა გავაძლიეროთ ლოცვა, გულმხურვალე გავხადოთ, ლოცვის თითოეულ სიტყვას, აზრს უნდა ჩავუკვირდეთ. თუ მოძღვრის კურთხევით სხვა ლოცვებსაც წავიკითხავთ, ის ლოცვები ჩვენ უფალთან დაგვაახლოვებს და უფალთან სიახლოვით ყველა განსაცდელს დავითმენთ.

***– იქნებ გვითხრათ, განსაცდელის ჟამს რომელი ლოცვები წავიკითხოთ?***

– ზემოთაც გითხარით, ფსალმუნები განსაკუთრებით ძლიერი ლოცვებია. მტრისა და ბოროტი ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად მიზანშეწონილია 50-ე და 90-ე ფსალმუნების წაკითხვა. არსებობს , ასევე, განსაკუთრებული ლოცვები – პარაკლისები და დაუჯდომელები, რომლებიც მოძღვრის კურთხევით უნდა იქნეს წაკითხული. როცა სულიერი პრობლემები გვაქვს, აუცილებელია ლოცვების გაძლიერება, მარხვა, აღსარება, ზიარება და ამ ყველაფრის შემდეგ ადამიანი სულიერად ძლიერდება. ჩვენ ხვალინდელი დღის იმედის დაკარგვის უფლება არ გვაქვს, უნდა გვწამდეს, რომ უფალი ჩვენი არასოდეს მიგვატოვებს და მით უმეტეს – განსაცდელში.

***– მამაო, ლოცვები ხმამაღლა უნდა წავიკითხოთ თუ ჩუმად?***

– მთავარია ლოცვა გულით, აზრიანად წავიკითხოთ, მაგრამ გირჩევთ, ვიკითხოთ ხმით, თანაც მოვერიდოთ ზეპირად თქმას, რადგან ამ დროს შეიძლება გულისყური სხვა საფიქრალისაკენ გაგვექცეს, ან დაგვავიწყდეს, ან სხვა სიტყვებით შევცვალოთ, რაც დაუშვებელია.მინდა რჩევა მოგცეთ – ილოცეთ წრფელი გულით, გონებით, აზრიანად, ლოცვა ჩვენი შესაწირია, უფალთან დაახლოვების შანსია. ამასთან, ზომიერად ვილოცოთ, არ არის აუცილებელი მთელი დღე ხატის წინ ვიდგეთ, რათა ლოცვად ჩაგვეთვალოს, ან ვინმემ დაგვინახოს. ამას გარდა, უნდა ვიკითხოთ წმინდა წერილები, მამათა სწავლება, საეკლესიო ლიტერატურა, რაც განგვამტკიცებს რწმენაში.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ რწმენაში!

---

### „ჰეი, ვინ მოდის მანდ, მომავლიდან?!“

## პირველკლასელები

# როცა გრძნობ, როგორ იზრდება



**გარეგნულად** სულაც არ ჰგავს რეზო ინანიშვილის ბიბოს – არც თურაშაულის ვაშლივით დასწითლებია და ლამის დასკდომამდე მისვლია ლოყები და არც მისნაირი მადა აქვს. იცით, რითი ჰგვანან ერთმანეთს? – რაღაცნაირად კაცურები, ცხოვრებაზე ჩაფიქრებულები, დარდების შემგროვებლები და საღად მოაზროვნენი არიან... არ გჯერათ? ახლა გაგაცნობთ და თუ ახლოს გაცნობა გენდომებათ, საგარეჯოს I საჯარო სკოლაში, პირველ კლასში, პედაგოგ ლია ქარსაულიძესთან იკითხეთ – ლუკა ბუზარიაშვილი.

ლუკას უფროსი ძმა ჰყავს. ზუკა მეთორმეტეკლასელია. ლუკას, რაც „თავი ახსოვს“, სულ ძმის სახელმძღვანელოებში „იქექება“. შეეკითხეთ და კარგად იცის, რას ნიშნავს მათემატიკა, რას შეისწავლის და რას ასწავლის ეს საგანი მოსწავლეებს, იცის ქართული ენა და ლიტერატურა და ყველა ის დისციპლინა, რაც სკოლაში ისწავლება. თუ გგონიათ, თავი მოგაბეზროთ კითხვებით. არა, უსმენს ყველას, თვალყურს ადევნებს მოვლენებს და სათანადო დასკვნებიც ამა თუ იმ მოვლენაზე თავად გამოაქვს... დიდი კაცივით ჩაიწყობს შარვლის ჯიბეებში ხელებს, ფეხებს განზე გადგამს და უსმენს დიდებს... ისე, მოზომილი, აწონილი სიტყვებით ესაუბრებიან ეს ზურა პაპაც და გია პაპაც. იციან, როგორი მგრძნობიარე და გონიერიცაა. არც საბავშვო ბაღში სიარული გაჭირვებიათ ოჯახს და არც ბაღიდან გადადებული ვირუსის საწინააღმდეგო წამლების მიღება... მათემატიკური აზროვნებით, უცბათ გამოთვლის ყველაფერს, მარტო რიცხვების მიმატება-გამოკლებას კი არა, ყველაფერს. თვალი არც ისე სწრაფად გაურბის სათამაშოებისკენ, ურჩევნია ნაჩუქარი ფული მოაგროვოს და სერიოზული ნივთი იყიდოს, მოუსმინოს მუსიკებს, უყუროს მულტიკებს...

გამოაგორებს ბურთს თავის მყუდრო, მშვიდ, წყნარ ქუჩაზე, თამაშ-თამაშით ჩაიტანს ბიძაშვილებთან – ტყუპ და-ძმასთან მარიტა და პაატასთან, ჩაუქროლებს ტყუპების ახლადდაბადებულ დას, სტუმრადმყოფ მეორე ბიძის შვილებს და თვალის ერთი ნიშნებით ფეხბურთელთა გუნდი ისევ ლუკას ქუჩას უბრუნდება. წლები ერთბაღელები და ერთჯგუფელები იყვნენ, ახლა კი კლასელები არიან, თუმცა, ისევ ის გუნდი აქვთ ფეხბურთის – მარიტა, ლუკა, პაატა.

კლასში 28 მოსწავლეა, აქედან, 20 ბიჭი – თავისტკივილი ლამაზი, მშვიდი, თბილი ლია მასწავლებლის. როგორ „თანაუგრძნობს“ მათ სიცელქეს ლუკა, შეიძლება წარმოიდგინოთ, ლია მასწავლებლის დიდი დასაყრდენია სწავლაშიც – გონიერი, ყოფაქცევაშიც – სხვათათვის მაგალითის მიმცემი. ხშირად ანიშნებს კლასელებს, რომ ზედმეტი არ მოუვიდეთ – ცელქობით არ გადაღალონ მასწავლებელი... სამივე ბუზარიაშვილმა ბაღში ისწავლეს ქართული ანბანი, მაგრამ ლია მასწავლებელი სხვანაირი დაინტერესებით ასწავლით, ყურადღებით უსმენენ, მიჰყვებიან მის განმარტებებს.

მაინც ვერ უსვენებს გული ლუკას, თითქოს დარდებს აგროვებს, იმატებს გულში – კლასელებმა არ იხმაურონ გაკვეთილზე, არ გააბრაზონ მასწავლებელი, ნეტავი ყველამ გაიგო ახსნილი? სკოლაში რამე ხომ არ დარჩათ?

# საქმიანი, საინტერესო დღეების ათვლა დაიწყო...



**საბავშვო** ბაღში სიარული არ მოსწონდა. სახლში უფრო კარგად ერთობოდა ერთი წლით უმცროს ძმასთან გიორგისთან ერთად. ერთი ეგ იყო, არ მოსწონდა „ზედამხედველი“ ბებოს თვალთვალი, არაფერი მოეწიათ თავს, „საქმის გაფუჭებას“ ვინ ჩიოდა. ოჯახში სულ „ხმარებაში იყო“ – ცული, ხერხი, ნიჩაბი, თოხი... აი, ბარი ცოტა მძიმე იყო და ის თუ იყო მათგან მოსვენებული. გადათხრიდნენ, გადმოთხრიდნენ ეზოს, ალუბლის ფესვებსაც დახედავდნენ, აქეთ საჩეხში ორმოებს, გვირაბებს გაიყვანდნენ... დაღლილ-დაქანცულ მაძიებლებს რისხვასავით დაატყდებოდათ თავს ბებოს შეცხადება, შემდეგ დედა ორივეს აბანოში შეყრიდა, პაპა მათ ნამოქმედარს „შეაფასებდა“, ულვაშებში ჩაიღიმილებდა და იარაღებს ადგილს მიუჩენდა – ბებოს „ლექცია“ რომ აღარ გაეგრძელებინა.

ზაფხული სხვანაირი დადგა სოსიკო ქვრივიშვილისთვის. მზადება დაიწყეს პირველკლასელობისთვის. ბებომ ერთი-ორჯერ იმ სკოლისკენ გაატარ-გამოატარა, სადაც მისი „ახსნით“ – მისმა პაპამ, მამიკომ და ბიძია ვანიკომ პირველი კლასის კარები შეაღეს, ისწავლეს, სიმწიფის ატესტატიც აიღეს... რაღაც ინტერესი გაუჩნდა – რამდენჯერმე ბებოს სთხოვა – ჩემი სკოლისკენ გავიაროთო. მოსწონდა ლამაზი, ახლადგარემონტებული სკოლა.

16 სექტემბერიც მოახლოვდა... მართალია, ყოჩაღად წამოხტა საწოლიდან, ცოტა გული რაღაც სხვანაირად უცემდა – უცხო სამყაროში უნდა შეებიჯებინა, ახალი ამხანაგები გაეცნო, მერხის პირველი ამხანაგიც დღეს უნდა ენახა – ვინ იქნებოდა...

ძალიან ლამაზი იყო იმ დღეს – 16 სექტემბერს მისთვის საგარეჯო, თავისი ქუჩა, სკოლა, სკოლის ეზო და უფრო ლამაზი სკოლის მოსწავლეები. ყველაფერს უკვირდებოდა, ეს მისთვის პირველი საინტერესო, სამახსოვრო დღე იქნებოდა. ეს საგარეჯოს II საჯარო სკოლაა, სადაც სწავლობდნენ მომავალი ექიმები, მასწავლებლები, გამომგონებლები, ინჟინრები... ხოდა, ახლა სოსიკო ქვრივიშვილიც შეემატა სკოლის იმ დიდ სიას, სკოლის მატიანეს...

პირველი მასწავლებელი – დარინა ჯავახიშვილი, სოსიკოსათვის ყველაზე ლამაზი, ყველაზე თბილი მასწავლებელი. როგორ დაავიწყდება ის პირველი დღე, როცა დარინა მასწავლებელი თითოეულ ბავშვს ისე მოეფერა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები იყვნენო...

ყურადღებით უსმენდა მასწავლებელს, აკვირდებოდა მის ნათქვამს, მიხვდა, რომ საბავშვო ბაღს სკოლა რაღაცით, რაღაცით სჯობია. ხო, მიხვდა, რომ სკოლაში უკვე დიდ ადამიანად თვლიან, რომ გაკვეთილზე მოწესრიგებული და ყურადღებიანი უნდა იყოს, სადღა სცალია გასართობად, როგორც ბაღში იყო?!

სპორტი

ფეხბურთი

# როცა ასე ახლოა III ლიგა



**„გარეჯი-1960“** კვლავინდებურად საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ჩემპიონატის IV ლიგის გათამაშების სათავეშია და მთელი ძალებით იბრძვის ჩემპიონის ტიტულის, ამით კი III ლიგაში გადასვლის უფლების მოსაპოვებლად. ამასწინათ გუნდს მორიგი გასვლითი მატჩი ჰქონდა ჭიათურაში ადგილობრივ „ჭიათურასთან“, რომელიც დიდი ანგარიშით – 5:1 დაამარცხეს. ამ წარმატების შესახებ გვესაუბრება გუნდის საგარეჯოელი მწვრთნელი დავით მაისურაძე.

***– რამდენადაც ცნობილია „ჭიათურა“ IV ლიგის სერიოზული და არცთუ ისე „ხელწამოსაკრავი“ გუნდია. რა თქმა უნდა, ეჭვი არ გვეპარება ჩვენი ფეხბურთელების ოსტატობაში, მაგრამ მაინც, რამ განაპირობა ჭიათურელების ასეთი დიდი ანგარიშით დამარცხება, ისიც მათ საკუთარ მოედანზე?***

– ამაში გასაკვირი არაფერია. ჩვენი ფეხბურთელები კარგ ფორმაში არიან და შეუძლიათ IV ლიგის ნებისმიერ გუნდს გაუწიონ ღირსეული მეტოქეობა. იძულებითი „შესვენების“ შემდეგ გუნდს დაუბრუნდნენ წამყვანი ფეხბურთელები, რომელთაც მეტი მუხტი შეიტანეს ამ თამაშში და იგი ასეთი შედეგით დასრულდა.

***– საგარეჯოს გუნდმა „ჭიათურის“ კარში ხუთი გოლი გაიტანა. ვინ არიან ამ გოლების ავტორები?***

– ჭიათურელთა კარში გოლები გაიტანეს პირველ ტაიმში ჯერ გუჯარაიძემ, შემდეგ კი ჯოხაძემ. უფრო შედეგიანი გამოდგა ჩვენთვის მეორე ტაიმი, როცა პირველივე წუთზე, ჭიათურელებმა წააქციეს ნიკა კუჭუაშვილი, რისთვისაც შეხვედრის არბიტრმა ჭიათურელთა კარში დანიშნა 11 მერტიანი საჯარიმო დარტყმა, რომელიც კარგად გამოიყენა ტრავმის შემდეგ გუნდში დაბრუნებულმა ჩიმაკაძემ და ბურთი მოწინააღმდეგის კარის ბადეში მოათავსა. ამ პენალტის შემდეგ ჭიათურელების კარი მეოთხედ აიღო მელქაძემ, მეხუთე გოლი კი ისევ ჩიმაკაძემ გაიტანა, რასაც ჭიათურელებმა მხოლოდ ერთი გოლით უპასუხეს.

***– ზემოთ „გარეჯი-1960“ ფეხბურთელთა კარგი მომზადება ახსენეთ, თუმცა მათ ცოტა არ იყოს გაუჭირდათ IV ლიგის აუტსაიდერთან მარნეულის „ალგეთთან“ თამაშში, როცა საგარეჯოს ცენტრალურ სტადიონზე გამართული შეხვედრა ფრედ 2:2 დაამთავრეს. რა იყო ამისი მიზეზი?***

– ეს პირველ რიგში განპირობებული იყო ჩვენი წამყვანი ფეხბურთელების ნაკლებობით, რომლებმაც ტრამვებისა და თამაშის წესების დარღვევებისათვის დაწესებული საჯარიმო სანქციების გამო ვერ მიიღეს თამაშში მონაწილეობა და ახლა ეს მდგომარეობა გამოსწორდა, რაც ჭიათურაში ჩვენს მიერ მიღწეულმა შედეგმაც ცხადყო.

***– IV ლიგის ჩემპიონობისათვის ბრძოლაში თქვენს ძირითად კონკურენტებად „თბილისის სითი“ და „სპაერი“ მოიაზრებიან. რა შანსები აქვთ მათ საამისოდ?***

– „თბილისი სითიმ“ ამასწინათ წააგო „ეგრისთან“ თამაში და მესამედან IV ადგილზე ჩაინაცვლა. 18 ოქტომბერს მათი ფეხბურთელები საგარეჯოში ჩამოდიან და თუ მოვიგეთ, პრაქტიკულად მიუწვდომელები გავხდებით სხვა გუნდებისათვის (სამწუხაროდ ეს მატჩი გარეჯმა წააგო 1:2 ავტ.). რაც შეეხება ჩვენს სადღეისო მდგომარეობას – 3 ქულით ვასწრებთ მეორე, 5 ქულით კი III ადგილზე მყოფ გუნდებს. სითის შემდეგ გასვლითი თამაში გვაქვს ზუგდიდის „ოდიშთან“, 1 ნოემბერს კი ვხვდებით „სპაერს“, სულ კი 5 ტური გვაქვს დარჩენილი.

***– რას გვეტყვით 23 ოქტომბერს საქართველოს თასზე თბილისის „ლოკომოტივთან“ გასამართი მატჩის შესახებ?***

– თბილისის „ლოკომოტივი უმაღლესი ლიგის მოთამაშეა, თუმცა ამ მატჩშიც ვიბრძოლებთ გამარჯვებისა და ჩვენი შესაძლებლობების დასამტკიცებლად.

*ესაუბრა გივი დაბახიშვილი*

ძიუდო

# თბილისში, ზურაბ ონიანის ხსოვნის ტურნირზე

**12-13 ოქტომბერს** თბილისში ჩატარდა ყოფილი სსრკ-ს ჩემპიონის ზურაბ ონიანის ხსოვნის ტურნირი ძიუდოში 2005-2006 და 2007-2008 წლებში დაბადებულ ძიუდოისტებს შორის. ტურნირში სხვებთან ერთად მონაწილეობდნენ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ აღნიშნულ წლებში დაბადებული მოჭიდავეებიც. მათგან ასპარეზობის ჩემპიონები გახდნენ მანაველი ონისე ბორაშვილი (34კგ) და გიორგიწმინდელი მოჭიდავე დავით კევლიშვილი (46კგ).

ტურნირის ვიცე-ჩემპიონებად დაგვიბრუნდნენ ოთარ ოდიკაძე (30კგ, საგარეჯო), ლერი ილურიძე (55კგ, გიორგიწმინდა), ვახო ჭიაბერაშვილი (34 კგ, საგარეჯო). მესამე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ საგარეჯოელი ძიუდოისტები გიორგი კურდღელაშვილი (46კგ) და ვახო ჭიაბერაშვილი (50კგ).

# ვანო ოტიაშვილისა და ნიკა გილაშვილის ხსოვნის რესპუბლიკური ტურნირი საგარეჯოში

**18-19 ოქტომბერს** საგარეჯოში ჩატარდა ახალგაზრდა ფალავნების ვანო ოტიაშვილისა და ნიკა გილაშვილის ხსოვნის რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში 2003-2004 და 2005-2006-2007 წლებში დაბადებულ ძიუდოისტებს შორის. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისის სამგორის, განთიადის, ჯორჯიას, ლიდერის, ოლიმპიური მზადების ცენტრის, მუხიანის, მართვეს, შევარდენის სპორტული კლუბების, თელავის, ახმეტის, ქარელის, გორის, ნორიოს, ჭიათურის, ფოთის, ქუთაისის, ზუგდიდის, მცხეთის და რა თქმა უნდა აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მოჭიდავეები.

შეჯიბრების პირველ დღეს 2003-2004 წელს დაბადებულთა ასაკობრივ ჯგუფში საგარეჯოელი ძიუდოისტების შედეგები ასეთია:

დავით კევლიშვილი ჩემპიონი გახდა 46 კგ წონით კატეგორიაში. მეორე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ მურაზ ხუდოიანი (55კგ) და სანდრო სონიშვილი (მძიმე წონა); მესამე პრიზიორები გახდნენ მირიან კურდღელაშვილი (60კგ), გიორგი არღვლიანი (73კგ), თენგო ხებრელაშვილი (81კგ) და ლაშა მამულაშვილი (მძიმე წონა).

19 ოქტომბრის ასპარეზობაში 2005-2007 წლებში დაბადებულთა შორის ოთხმა საგარეჯოელმა მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. ესენი არიან: საბა ოდიკაძე (26კგ), ლუკა დარისპანაშვილი (32კგ), ონისე ბორაშვილი (35კგ), დავით კევლიშვილი (46კგ). მეორე პრიზიორები გახდნენ: ალეკო ბეჟიაშვილი (26კგ), ვახო ჭიაბერაშვილი (35კგ), გიორგი კურდღელაშვილი (46კგ), ვახო ჭიაბერაშვილი (50კგ). მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა გიგა ბაქარაშვილი (38კგ).

ტურნირის პრიზიორები დაჯილდოვდნენ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ დირექციის შესაბამისი მედლებითა და სიგელებით, ასევე ტურნირზე დაწესებული სახელობითი თასები გადაეცათ 32 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვებულ ლუკა დარისპანაშვილსა და ონისე ბორაშვილს (35კგ).

*გივი დაბახიშვილი*

სამჭიდო

# მწვრთნელს – ვერცხლი, აღსაზრდელებს – ოქრო

**სამჭიდში** (წოლჭიმი) საქართველოს მრავალგზის, ევროპის ორგზისა და მსოფლიო ჩემპიონის, საქართველოს ძალისმიერი სპორტის სერტიფიცირებული მწვრთნელის მანაველი დემნა ქალაქურაშვილის სპორტული შედეგების შესახებ ჩვენი გაზეთი რეგულარულად აქვეყნებს მასალებს თავის ფურცლებზე.პირად სპორტულ მომზადებასთან ერთად, დემნა 4 წელია საგარეჯოს უშუს (მწვრთნელი სოსო გრატიაშვილი) დარბაზში სპორტის ამ სახეობაში ახალგაზრდებს ავარჯიშებს, რომელთაც უკვე ხელშესახები წარმატებები აქვთ მოპოვებული სხვადასხვა დონის ასპარეზობებში.

5 ოქტომბერს დემნამ და მისმა აღსაზრდელებმა იასპარეზეს თბილისში სამჭიდში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში, სადაც მწვრთნელი ვიცე-ჩემპიონი, მისი შეგირდები კი ჩემპიონები გახდნენ. კერძოდ, დემნა ქალაქურაშვილი, ასაკიდან გამომდინარე, მონაწილეობდა დიდების ასპარეზობაში, 75 კგ წონით კატეგორიაში, სადაც ასწია 130 კგ და ამ შედეგით მეორე ადგილზე აღმოჩნდა. რაც შეეხება მის ჩემპიონ აღსაზრდელებს, – მანაველი რობინზონ ფოცხვერაშვილი უძლიერესი აღმოჩნდა ახალგაზრდებში 67კგ წონით კატეგორიაში, კაკაბეთელმა გიორგი ქვლივიძემ კი ჩემპიონობა ამავე ასაკის 80 კგ წონით კატეგორიაში მოიპოვა. რაც შეეხება მომავლის ამოცანებს, 15-17 ნოემბერს უკრაინაში იმართება ევრაზიის თასის გათამაშება სამჭიდში, 21-24 ნოემბერს კი პოლონეთი უმასპინძლებს ევროპის ჩემპიონატს, რისთვისაც საგულდაგულოდ ემზადებიან და სპონსორების გამოჩენის შემთხვევაში აუცილებლად იასპარეზებენ ისინი. წარმატებები ვუსურვოთ სამომავლოდ ჩვენს სამჭიდელებს

*გივი დაბახიშვილი*

ჭადრაკი

# საკლუბო ჩემპიონატის მორიგი ტური



**19 ოქტომბერს** ახლადგახსნილმა საჭადრაკო კლუბმა „გარეჯმა“ პირველად საკუთარ კედლებში მიიღო ამ გათამაშების ერთ-ერთი მონაწილე რუსთავის „რუსთავი“.

როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის ამ ტურამდე გარეჯი გათამაშების ცხრილში მესამე ადგილზე იმყოფებოდა წინა ტურში თბილისის „ოლიმპიურ ჩემპიონთან“ სენსაციური გამარჯვების შემდეგ. ამის გამო რუსთაველები საგულდაგულოდ მოემზადნენ მასპინძლებთან საპაექროდ. მართალია მათ ორი მოთამაშე აკლდათ, მაგრამ სამაგიეროდ სხვა დაფებზე შეეცადნენ დანაკლისის ანაზღაურებას. ამის მიუხედავად მასპინძლები მაინც ქულათა მაქსიმუმის აღებას ცდილობდნენ, თუმცა დანაკლისი მათაც ჰქონდათ. მეცხრე ტურში არ უთამაშია 12 წლამდელთა ძირითად მოთამაშეს ნინო ესაიაშვილს, ამის გამო 10 წლამდელთაგან 12 წლიანებში გადასვლა მოუწია თამაზ თუშიშვილს, ხოლო 10 წლიანებში ითამაშა მარიამ აგულაშვილმა. სამწუხაროდ ეს შეხვედრები ვერ წარიმართა წარმატებით. მოგება მოახერხა მხოლოდ ზუკა გამრეკელაშვილმა, მოგებები ჩაეთვალათ ნიკა კევლიშვილსა და ლევან დალბაშვილს. დამარხდნენ სახიბ გაჯიევი, ფართლი საბრი და მარიამ აგულაშვილი. თუშიშვილმა დაგეგმილი ქულის ნაცვლად მხოლოდ ყაიმს მიაღწია, ასევე ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ნანი უნაფქოშვილმა. საბოლოოდ მეცხრე ტურის ეს შეხვედრა დამთავრდა ფრედ 4:4.

სამაგიეროდ მეათე ტურში ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. მართალია გუნდს შემომატებული ნინო ესაიაშვილი და ფართლი საბრი დამარცხდნენ, მაგრამ მოიგეს ნანი უნაფქოშვილმა, ზუკა გამრეკელაშვილმა და თამაზ თუშიშვილმა, ასევე მეტოქის გამოუცხადებლობის გამო მოგებები ჩაეთვალათ ნიკა კევლიშვილსა და ლევან დალბაშვილს, ყაიმით დაამთავრა შეხვედრა პირველ დაფაზე სახიბ გაჯიევსა და გიორგი ბიბილაშვილს შორის და საბოლოოდ გარეჯმა „რუსთავი“ 5,5:2,5 დაამარცხა.

მეორე დღეს, 20 ოქტომბერს „გარეჯი“ თბილისის ჭადრაკის სასახლეში დაუპირისპირდა აღმოსავლეთის ზონის ერთ-ერთ გამოკვეთილ ლიდერს თბილისის „აზმაის“, რომელიც ძირითადად საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრებით იყო დაკომპლექტებული და მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ოთხი მონაწილე – ლუკა ობოლაძე, ნიკოლოზ პეტრიაშვილი, ნიკოლოზ კაჭარავა და შოთა ხოდაშნელი თამაშობდნენ. მათ აქამდე ყველა შეხვედრა მოგებული ჰქონდათ.

XI ტურის შეხვედრაში ორმა მონაწილემ – ნანი უნაფქოშვილომა და თამაზ თუშიშვილმა პარტიები ყაიმით დაამთავრეს, ხოლო დანარჩენები დამარცხდნენ. სულ სხვაგვარად წარიმართა XII ტურის შეხვედრა, სადაც გარეჯელებმა ცხარე ბრძოლა გაუმართეს სახელოვან მოწინააღმდეგეს. იყო მომენტი, როცა ანგარიში 3:3 იყო, ხოლო დარჩენილ ორ შეხვედრაში ჩვენებს გარკვეული უპირატესობაც ჰქონდათ. მზადდებოდა სენსაცია, მაგრამ სამწუხაროდ, ფართლი საბრიმ საყაიმო პოზიციაში დაუშვა შეცდომა და წააგო. ნანი უნაფქოშვილისა და ნიკოლოზ პეტრიაშვილის პარტია კი ყაიმით დამთავრდა. ასე, რომ გარეჯელები მინიმალური ანგარიშით 3,5:4,5-ით დამარცხდნენ.

შემდეგი ტური 4 ნოემბერს შედგება, სადაც „გარეჯი“ მცხეთა-მთიანეთის „მცხეთას“ შეხვდება.

## ჭადრაკი

# ნანა ალექსანდრიას საიუბილეო თასი საგარეჯოშია!



**12 ოქტომბერს** სახელოვან ქართველ მოჭადრაკე ქალს, მსოფლიოს ორგზის ვიცე ჩემპიონს, საერთაშორისო დიდოსტატ ნანა ალექსანდრიას დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა. ამ თარიღთან დაკავშირებით გაიმართა მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომელთა შორის, ბუნებრივია იყო საჭადრაკო ტურნირები. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო 8 წლამდელთა ტურნირი იყო, რომელშიც საგარეჯოელი ნორჩი მოჭადრაკეებიც მონაწილეობდნენ.

უნდა ითქვას, რომ ტურნირი წარმატებული აღმოჩნდა გარეჯელი ბრძნული თამაშის პატარა ოსტატებისათვის, უფრო მეტიც,– იგი მათი ტრიუმფით დასრულდა.

ტურნირის გამარჯვებული გახდა მარიამ აგულაშვილი, რომელმაც 6,5 ქულა მოაგროვა 7 შესაძლებლობიდან, მოიპოვა თასი და დააფიქსირა უნიკალური შედეგი – ერთ ტურნირში მოიპოვა ორი ოქროს მედალი. საქმე იმაშია, რომ ტურნირი ღია იყო, ანუ მასში ვაჟებთან ერთად გოგონებიც მონაწილეობდნენ. ჩვეულებრივ, ვაჟები ყოველთვის ჯობნიან გოგონებს, ამიტომ მათთვის – ანუ ყველაზე უკეთესი შედეგის მქონე გოგონასათვის დაწესებული იყო კიდევ ერთი ოქროს მედალი. მაგრამ მოხდა ისე, რომ მარიამმა გამარჯვების ყველა კანდიდატი ვაჟი დაამარცხა, ბოლო ტურში კი მოუგო საქართველოს ჩემპიონს ვაჟთა შორის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების მონაწილე ანდრია კვირიაშვილს და ერთი ქულით გადაასწრო უახლოეს მდევრებს გიორგი კუხიანიძესა და შიო შიოშვილს (ამ უკანასკნელმა საგარეჯოელებს კიდევ ერთი მედალი მოუტანა). ასე, რომ მარიამს ტურნირის გამარჯვებულისათვის დაწესებული ოქროს მედალიც ეკუთვნოდა და გოგონათა შორის პირველ ადგილზე გასულისთვისაც. გოგონათა შორის II ადგილი დაიკავა ნინი აგულაშვილმა (სამივე მოჭადრაკის მწვრთნელია ირაკლი ქვლივიძე).

მათლაც შთამბეჭდავი იყო დაჯილდოების ცერემონია, რომელიც თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საკონცერტო დარბაზში გაიმართა. უფრო სწორად, ამ დარბაზში ჩატარდა ნანა ალექსანდრიას 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელსაც ქართული საჭადრაკო საზოგადოება, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონები ნონა გაფრინდაშვილი და მაია ჩიბურდანიძე, ვიცე ჩემპიონი ნანა იოსელიანი, ქართული ჭადრაკის დღევანდელი და მომავალი თაობის, ასევე ქართული ინტელიგენციის და ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ღონისძიება მიჰყავდა საერთაშორისო დიდოსტატს საჭადრაკო კომპოზიციაში, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს დავით გურგენიძეს.

გამარჯვებულებს ჯილდოები გადასცა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ. ბოლოს მათ სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს ნონა გაფრინდაშვილთან და ქართული საჭადრაკო ელიტის სხვა წარმომადგენლებთან.

## ახალი წიგნი

# „უფლის ჩიტები ჭილის ქუდიდან“ – პრეზენტაცია საგარეჯოს კულტურის სახლში

**შემოდგომის** დასაწყიში, ქართული სიტყვის საგარეჯოელი ოსტატების შემოქმედება კიდევ ერთი თვალსაჩინო შენამატით შეივსო – „დღის სინათლე“ იხილა მანაველი პოეტის, პედაგოგისა და ჟურნალისტის მანანა დაბახიშვილის ლექსთა კრებულმა – „უფლის ჩიტები ჭილის ქუდიდან“. ამ თემაზე ჩვენს გაზეთს საუბარი ჰქონდა ამისწინა, მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილ ნომერში, სადაც მანანა დაბახიშვილის მრავალწლიან პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, შევეხეთ აღნიშნულ კრებულსაც.

18 ოქტომბერს კი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის აიპ „კულტურის ობიექტების გაერთიანებამ“ სარაიონო კულტურის სახლთან ერთად, მცირე საკონცერტიო დარბაზში შეხვედრა მოუწყო ახალი წიგნის ავტორს, რომელსაც პოეტის კოლეგა მასწავლებლებთან ერთად ესწრებოდნენ საგარეჯოელი პოეტები მიხეილ ქვლივიძე, როსტომ როსტიაშვილი, ალექსი არაბული, მარინა შანიძე, მანავის მაჟორიტარი დეპუტატი ნიკო გიუაშვილი, საგარეჯოს თეატრის მსახიობები, მანავისა და საგარეჯოს საზოგადოების წარმომადგენლები.

ყვავილებით, გაზეთის ზემოაღნიშნული ნომრებითა და სხვა დეკორაციებით მორთულ დარბაზში, რომლის მოწყობაზეც დიდი ძალისხმევა გამოიჩინა საგარეჯოს კულტურის სახლის მენეჯერმა და ამ ღონისძიების წამყვანმა ქ-ნმა თინათინ მეზვრიშვილმა შეხვედრის დამსწრეთ გააცნო პოეტის ბიოგრაფია და მის კრებულში შესული ლექსები, რის შემდეგაც სახალხო თეატრის მსახიობებმა: ნანული ბილანიშვილმა, ნათელა დიღმელაშვილმა და მარინა შიოშვილმა წაიკითხეს წიგნიდან შერჩეული სხვადასხვა ლექსები.

დიდი მოწონება და ოვაციები ხვდა წილად მანანა დაბახიშვილის ლექსზე ჩვენი სასიქადულო და განუმეორებელი მომღერლის, ანსამბლ „ჩინარის“ ხელმძღვანელის ნელი გულიკაშვილის მიერ დაწერილ სიმღერას, რომელიც შეასრულეს კონცერტმეისტერმა მარინა ურდულაშვილმა და ახალგაზრდა, ნიჭიერმა მომღერალმა თეონა გივიშვილმა.ისე, რომ ახალი წიგნის დაბადებასთან ერთად, ამ შეხვედრაზე კიდევ ერთი მუსიკალური შედევრის დაბადების მოწმენი გახდნენ აქ შეკრებილნი. შეხვედრაზე სარაიონო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარმა ვერიკო კერატიშვილმა ისაუბრა კრებულში გამოქვეყნებული ლექსების მრავალმხრივ თემატიკაზე და წაიკითხა ლექსი წიგნიდან.

საინტერესო იყო შეხვედრაზე პოეტის ამჟამინდელი კოლეგის და ქართული ენის პირველი მასწავლებლის ნანა ფეიქრიშვილის გამოსვლა. როგორც მან აღნიშნა, ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს პოეტმა, როგორც მასწავლებელს, წააკითხა თავისი პირველი ლექსები, რომელთაც იმთავითვე ეტყობოდათ მომავალი ნიჭიერი ხელოვანის ხელი. მან ასევე ისაუბრა პოეტის მიერ კრებულში გამოყენებულ მხატვრულ ხერხებზე და აქ წარმოდგენილი სიტყვათწარმოქმნის მეთოდებზე. ასეთი რამ გოგლა ლეონიძის შემდეგ იშვიათად ხდებაო, – აღნიშნა მან.

პოეტმა და საგარეჯოს IV საჯარო სკოლის მასწავლებელმა მანანა გილაშვილმა წაიკითხა მის მიერ კრებულიდან შერჩეული ლექსი, ისაუბრა აქ გამოქვეყნებული ლექსების თემატიკაზე და როგორც აღნიშნა, მუნიციპალიტეტის კულტურულ სინამდვილეში კარგა ხანია მსგავსი მნიშვნელობის ღონისძიება აღარ მოწყობილა. ამას დედა-შვილის – ანსამბლ „მირელას“ ხელმძღვანელის მარინა ურდულაშვილის და „ჩინარის“ სოლისტის სალომე ქოქიაურის სიმღერა მოჰყვა.

შეხვედრაზე პოეტს კრებულის გამოცემა მიულოცა, სტუდენტობის წლებიდან დაწყებული მეგობრობა გაიხსენა და ყვავილების თაიგული გადასცა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის თავკაცმა არჩილ ჯაბადარმა.

– ადამიანს უფლისაგან უნდა ჰქონდეს მომადლებული ნიჭი, რომ ასეთი ლექსები წეროს,– აღნიშნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის აიპ „კულტურის ობიექტების გაერთიანების“ დირექტორმა ბესო ღვინაშვილმა. მან მადლობა გადაუხადა პოეტს ასეთი ლექსებისათვის და თავის მიერ ხელმოწერილი „მადლობის ფურცელი“ გადასცა.

შეხვედრაზე პოეტს მიულოცეს და მის შემოქმედებაზე ისაუბრეს ალექსი არაბულმა, პოეტმა მარინა შანიძემ, მზია გუმბარიძემ. სკოლის მეგობარმა ნინო გოგოლაურმა, მანაველმა კოლეგა-პედაგოგმა მარინა საბაშვილმა.

სიმბოლური იყო წიგნის პრეზენტაციაზე იმის



მოსმენაც, რომ ერთმა საგარეჯოელმა ქალბატონმა, რომელმაც სანთლის შუქზე (ელექტროენერგიის გამორთვის გამო) წაიკითხა ლექსთა კრებული, შეუძლოდ ყოფნის გამო პოეტს ბოდიში შემოუთვალა შეხვედრაზე მოუსვლელობის გამო.

როგორც ღონისძიების დასასრულს პოეტმა აღნიშნა, ამ კრებულში ძირითადად შესულია ადრეულ ასაკში 2002 წლამდე დაწერილი ლექსები, რომლის შემდეგ კალამი აღარ აუღია მათ საწერად. მეორე ეტაპი მის შემოქმედებაში დაიწყო დედის ავადმყოფობისა და ტელეკომპანია „იმედის“ არხზე სკოლის „საკლუბო მუშაობის“ ღონისძიების ჩაწერის შემდეგ, რაშიც პედაგოგ ნანა ფეიქრიშვილის ამ ჩაწერაზე გამოთქმულმა აზრმა უბიძგა.

აქვე მან წაიკითხა ლექსები საკუთარი წიგნიდან და ყოფილი მოსწავლის ბაჩანა ბორაშვილის გამოგზავნილი მისალოცი ლექსი. მან ასევე დაუსწრებლად (საზღვარგარეთ ყოფნის გამო) მადლობა გადაუხადა თანაკურსელებს ლელა ამისულაშვილსა და შორენა ფირცხალავას, რომელთაც ფინანსური და ინტელექტუალური შესაძლებლობები არ დაიშურეს იმისათვის, რომ მისი წიგნი დღის სინათლეზე გამოსულიყო.

შეხვედრა დიდი ოვაციებით ამ სტრიქონების ავტორის ექსპრომტმა დააგვირგვინა წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით, რომელსაც აქვე ვთავაზობთ მკითხველს.

ღონისძიების დასასრულს პოეტმა დიდი მადლობა გადაუხადა შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებას აქ მობრძანებისა და მისი შემოქმედების დაფასებისათვის, გადასცა მათ საკუთარი წიგნები ავტოგრაფებით, გადაიღო მათთან სამახსოვრო სურათები, რის შემდეგაც შეხვედრის მონაწილეებმა ჭიქა მანავური „საფერავით“ ადღეგრძელეს პოეტი, მიულოცეს პირველი წიგნის გამოცემა, უსურვეს ხანრძლივი შემოქმედებითი მოღვაწეობა და სხვა მრავალი წარმატებები.

ექსპრომტი

ვესალმები „უფლის ჩიტებს“,  
ჭილის ქუდის მარგალიტებს,  
ძალუმად რომ განმაცვიფრეს,  
ძალუმად რომ ჩამაფიქრეს.  
წინაპართა სისხლი ყივის,  
ჩაქსოვიან ჯადო რითმებს,  
პოეზიის უშრეტ ზღვაში  
ფეხშიშველა დავაბიჯებ!  
ჭილის ქუდში დატრიალებს  
პოეზიის ქარიშხალი.  
უფლის ჩიტი აფრენილა,  
ეს ერთი და სხვა მრავალი!

*გივი დაბახიშვილი*

## ხსოვნა

**ნიკა ბეჟანიშვილი დაბადების** დღეს გილოცავთ, ჩემო საყვარელო, ჩემო ლამაზო, სიცოცხლით სავსე, გაუხარელო, ჩემო ნიკა. უკვე მეოთხე დაბადების დღე მოდის უშენოდ – 31 ოქტომბერი. ოთხი დაბადების დღე უშენოდ გადავიხადეთ, შვილო. იშვიათი გულის ადამიანი იყავი, შენი მომავალიც ამხანაგებს შესწირე. სიხარულით ვხვდებოდით, მაგრამ აი, უკვე მეოთხე წელია, რაც ჩვენს ოჯახში აღარა ხარ, აღარც ბებოსთან, პაპასთან, დედასთან და მამასთან. და მწარე ტკივილით ვხვდებით ამ დღეს, შვილო. 31 ოქტომბერს 25 წლის ხდები. შენი ოჯახი გილოცავს დაბადების დღეს. მოვალთ შენს საფლავთან, სანთელს დაგინთებთ და გეტყვით გულს ტკივილით. ნათელში იყოს შენი სული.



*ბებო ანგელინა ბეჟანიშვილი-ზირაქაშვილი*

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com